საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/467

ქ. ბათუმი 31 მაისი, 2022 წ.

ბსუ-ს „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტ თინიკო ცინცაძისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 08 ოქტომბრის N01-08/573 ბრძანების, ბსუ-სა და თინიკო ცინცაძეს შორის 2021 წლის 07 ოქტომბერს გაფორმებული № 20-04/57 ხელშეკრულების, თინიკო ცინცაძის 2022 წლის 25 მაისის N543576 განცხადებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 25 მაისის MES 4 22 0000544084 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეს ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი პირადი განცხადების საფუძველზე ბსუ-ს „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტ თინიკო ცინცაძეს (პ/ნ).
2. ბრძანება აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, თინიკო ცინცაძეს და განთავსდეს მის პირად საქმეში.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში